პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 შაბათი 31 ივლისი № 178 (16608) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ORGAN TSK KP GRUZII, VERXOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

„სალუტ-5“: იკვლევენ დედამიწას

ფრენის მართვის ცენტრი, 30 ივლისი. (საკუთარი). მოსკოვის დროით 11 საათისათვის „სალუტ-5“ ორბიტულმა სამეცნიერო სადგურმა 605-ჯერ შემოუფრინა დედამიწას, აქედან 362-ჯერ ეკიპაჟითურთ.

ფრენის პროგრამის შესაბამისად 29 და 30 ივლისს კოსმონავტებმა ბ. ვ. ვოლინოვმა და ვ. მ. ჟოლობოვმა ფოტოსურათები გადაუღეს დედამიწის ზედაპირს. გადაღების მიზანია გამოავლინონ სასარგებლო წიაღისეულის ბუდობების ძიებისათვის პერსპექტიული რაიონები, შეისწავლონ მთებში სეისმოაქტივობა და შეაფასონ ღვარცოფის საშიშროება, გამოიკვლიონ ჰიდროტექნიკური ნაგებობათა დაპროექტების, რაციონალური ექსპლუატაციის, ტექნიკური გადაკეთების, სასოფლო ეკონომიკის, ტყეთმოძიებისა და სხვა დედამიწისეულობანი ამოცანა. გადაღება წარმოებდა ხამხრეთ უკრაინის, მოლდავეთის, ალტაის მხარის, კასპიისპირა დაბლობის თავზე.

კოსმონავტთა მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების შესაბამისად, „სალუტ-5“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის სისტემები ნორმალურად მუშაობს. ეკიპაჟის ორივე წევრი ჯანმრთელად არის და თავს კარგად გრძნობს.

ახლა მთავარია კონკრეტული საქმე!

ერთ ერთი კვირაც არ გასულა, რაც მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმა, მაგრამ მისი საქმიანი ტონი, განწყობილება და ხელისკვეთება სწრაფად გადაეცა საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს. მთელი ორი დღის განმავლობაში პლენუმის მონაწილეები ღრმად, საფუძვლიანად განიხილავდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანებს.

როგორც პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, ამიერიდან ახალი დადგენილებით „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სათავე დაედო საქართველოს კომპარტიის ცხოვრების ახალ ეტაპს, მის ახალ თანმიმდევრულ ბრძოლას მიღწეულის განსამტკიცებლად, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის დონის ასამაღლებლად, მშრომელთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, პარტიის XXV ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით ნამდვილი შემოქმედებითი ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკური მუშაობის განსაზღვრად.

დიახ, მეტად დიდი, განუზომელი და ფასდაუდებელია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების როლი და მნიშვნელობა. იგი მოგვევლინა ამ რთული და პასუხსაგები მუშაობის უკმა, როცა ძველსა და უვარგისს ენერგიულად ვამსხვრევთ და ფართოდ ფრონტით დავიწყეთ საყოველთაო-სახალხო იერიში პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად. მოგვევლინა უდიდეს ბრძენ მრჩეველად, ახალ ბიძგად, გამამხნევებელ ძალად, უბადლო მატერიალურ და მორალურ სტიმულად.

აი რაგომ არის ახლა მთელ ჩვენს რესპუბლიკაში — სოფლად თუ ქალაქად, მინდვრად თუ საწარმოებში, ყველა უბანზე და ყველა შრომითს კოლექტივში დიდი ენთუზიაზმი, შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, ხალისანი განწყობილება, ნამდვილი შემოქმედებითი პათოსი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის ერთ-ერთი პირველი მოლოზოვნა ის არის, რომ უნარიანად გამოვიყენოთ ადამიანთა ეს ამაღლებული განწყობილება, ეს აქტივობა 1976 წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმებისა და ნაკლისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

პლენუმმა, განხილულ საკითხზე დადგენილება რომ მიიღო, ამასთანავე დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გეგმა. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციებიც ადგილებზე ახლავე უნდა შეუდგნენ თავიანთ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმის შემუშავებას. ორგანიზაციული და საინჟინრო-ეკონომიური ღონისძიებების ერთიანი, კარგად მოფიქრებული პროგრამა უნდა ჰქონდეთ სამინისტროებს, უწყებებს, სამეურნეო ორგანოებს.

მაგრამ გეგმების შედგენა ერთი მხარეა. მთავარი ის არის, რომ, რა საკითხიც უნდა ავიღოთ, ეხება ეს წარმოებასა თუ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვას, შეცნიერულ თუ სახალხო განათლების პრობლემას, იდეოლოგიურ თუ პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას, შედამ უნდა დავადგინოთ ზუსტი, პრინციპული, დროული შესრულების შემოწმება და კონტროლი. საჭიროა დაუყოვნებლივ კიდევ უფრო ღრმად, საფუძვლიანად შევისწავლოთ და ფართოდ განვაზოგადოთ ის დადებითი გამოცდილება, რომელიც ბევრმა პარტიულმა თუ სამეურნეო ორგანიზაციამ შეიძინა. მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრებისადმი სწრაფვა, რაც ესოდენ დამახასიათებელია პარტიის თბილისის, ქუთაისის საქალაქო და ზოგიერთი სხვა პარტიული ორგანიზაციისათვის, მრავალ წარმატებთა გასაღებია.

მაგრამ ყოველ ნიახლეს, ინიციატივას ახალდარგული ნერგივით უნდა მოვუაროთ. სამწუხაროდ, ამ ჭეშმარიტებას ბევრგან ივიწყებენ. აი ჯერ კიდევ პარტიის XXV ყრილობისათვის მზადების დღეებში ცხინვალის მომინანქრებული სადენების მუშა-მოსამსახურეებმა წამოიწყეს მოძრაობა დევიზით: „ვიმუშაოთ ისე, რომ საწარმოში არ გვყავდეს არცერთი ჩამორჩენილი უბანი, ბრიგადა, ცალი!“ ეს ინიციატივა მოიწონა პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტმა და კარგ წამოწყებას ორმა საწარმომ და ერთმა საამქრომ დაუჭირა მხარი. ეს იყო და ეს. ინიციატივა ინიციატივად დარჩა. მისი ფართოდ გავრცელებისათვის ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ ალარ იზრუნა. ასეთი ფაქტები სხვანაც არის.

სხვა მრავალ თაობნობათა შორის, რაც უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში იშვა, ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანია რუსთაველ შეტალურგთა მოწოდება — სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია!“, „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი — ჩვენ გვერდით!“ პლენუმის ერთ-ერთი მოთხოვნა სწორედ ის ნარის, რომ ყოველმხრივ განვამტკიცოთ დისციპლინა და თვითდისციპლინა, ყველგან დავნერგოთ კონტროლი და თვითკონტროლი, გავადიდოთ ადამიანთა კოლექტიური და პერსონალური პასუხისმგებლობა!

ეს კი განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა ბევრ გაკეთებულთან, შექმნილთან ერთად ცოტა როდია ეგრეთ წოდებული „მწვავე პრობლემები“, გადაუჭრელი საკითხები, ძნელად მოსაგვარებელი საქმეები. როგორც პლენუმზე დიდი გულახდილობით ითქვა, ჯერ კიდევ ბევრა საწარმო, მეურნეობა, ორგანიზაცია ხუსტად მუშაობს, ერთ ადგილს ტკეპნის, ზოგჯერ კი აუარესებს კიდეც მაჩვენებელს. სერიოზული ნაკლოვანებანი მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობაში, დამაკმაყოფილებელი არ არის პროდუქციის ხარისხი. კვლავ წინა პლანზეა ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ანტაგონიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის საკითხი. პოზიციები არ დაუთმიათ ბიუროკრატებს, უყმირაზობის, მფლანგველობის მოყვარულთა. ამიტომ კიდევ უფრო მეტი პატივი უნდა სცეს ყველა შრომითს კოლექტივში ჯანსაღ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ყველგან ნაკლოვანებებისა და სხვადასხვა დამახინჯებისადმი მკაცრი, შეურიგებლობის ეტმოსფერო, ფართო გზა მიეცეს ადამიანთა ინიციატივასა და აქტივობას.

დიდი, ძალიან დიდი ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი იდეოლოგიური დარგის მუშაკები. პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უნდა გააქტიურონ ისინი, პროპაგანდისტული და პოლიტიკმზრდელობითი მუშაობის მთელი მდიდარი არსენალი უნარიანად უნდა გამოვიყენოთ, რომ რესპუბლიკის თვითეულმა მშრომელმა კარგად იცოდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის აზრი და მნიშვნელობა, ზედმიწევნით გაერკვეს იმ კონკრეტულ ამოცანებში, რომლებიც მოცემულია სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ ისტორიულ დადგენილებაში.

ახლა ზაფხულია, მაგრამ იდეოლოგიურ მუშაობაში არავითარი არდადეგები არ შეიძლება იყოს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი ღრმა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. ბევრი პარტიული ორგანიზაცია სამამოდ მოხერხებულად იყენებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვას, თეორიულ კონფერენციებს, აწყობს გამოფენებსა და ხტენდებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, ლექციების ციკლებს და სხვა ღონისძიებებს. მაგრამ, როგორც ფაქტები მოწმობენ, პროპაგანდისტულ და სალექციო მუშაობას ზოგან კვლავ ფორმალიზმი აღრჩობს.

ამ დღეებში გაიმართა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების მიხედვით. ამ საკითხზე პლენუმები უკვე მოეწყო სხვა პარტიულ კომიტეტებშიც. უახლოეს ხანში ისინი ყველგან გაიმართება. ყველგან მოეწყობა აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებიც. ამოცანა სწორედ ის არის, რომ ეს ფორმები ყველგან მაღალ დონეზე, ღრმაშინაარსიანად წარმართოს, შემუშავდეს კონკრეტული და მიზანშიმართული ღონისძიებები, რაც თან უნდა მოჰყვეს პრაქტიკული, ოცცხალი საქმე.

ჟეათე-საჩისხის, ეფექტიანობის-ხუთნლეული

მეშახტეთა ციცინ შრომითი ვახტი

ტყიბული. (საკ. კორ.). წლეულს კარგად მუშაობს ლენინის სახელობის შახტის (დირექტორი ვ. პატარიძე) კოლექტივი. საკოქსე ქვანახშირის მოპოვების ექვსი თვის დავალება საწარმომ ვადაზე სამი დღით ადრე, ხოლო რეალიზაციის — ორი დღით ადრე შეასრულა, გეგმის გადამეტებით ამოიღო 8 ათასამდე ტონა ქვანახშირი, მაშინ როცა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება წლის პირველ ნახევარში 6 ათასი ტონა მადნის ამოღებას ითვალისწინებდა.

მეშახტეებმა ბეჯითად იმუშავეს და ახალი წარმატებები მოიპოვეს ივლისშიც.

შრომითს ვახტზე დაწინაურდნენ საექსპლოატაციო უბნები, რომლებსაც სამთოელები მ. გვენეტაძე, ნ. ბურჯანაძე, ი. დოლიძე და შ. აბულაძე ხელმძღვანელობენ.

სანიმუშოდ ემსახურეგვიან

ახალციხე. (საკ. კორ.). თხევადი გაზის ჩამომსხმელი ქარხნის (დირექტორი თ. ბერიძე) კოლექტივმა, რომელიც წარმატებით იბრძვის მოსახლეობის სანიმუშოდ მომსახურებისათვის, ვადაზე ადრე გადაჭარბებით გაანაღდა ნახევარი წლის დავალება, ჩამოასხა და მომხმარებელს მიაწოდა 4900 ტონა თხევადი გაზი ნაცვლად ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული 4600 ტონისა, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 11 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღო 20 ათას მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება.

ცხინვალი. მექანიკური ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა წლევანდელი წლის ექვსი თვის დავალება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არ თმობს ამწის კაბინების დამამზადებელი საამქრო, რომელსაც ი. კახიშვილი ხელმძღვანელობს. მოწინავეთა შორის არიან მუშები თ. გაბარაევი, ვ. ტასოევი, ვ. ცხოვრებოვი და სხვები. ისინი ერთსულოვნად იბრძვიან საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად აჩაღებენ შეჯიბრებას დევიზით: მაქსიმალურად გამოიყენოთ სამუშაო დრო, მანქანა-ინვარღები“.

მ. გუჩმაზოვი,
ცხინვალის მექანიკური ქარხნის უფროსი ეკონომისტი.

ავგისტოს ანგარიშში

თელავი. (საკ. კორ.). სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი გ. ორთოიძე) მშრომელები ახალი ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე ბეჯითობენ, რათა წლიური გეგმა ვადამდე ბევრად ადრე შეასრულონ და საჭირო ორგანიზაციებს გეგმის ზევით მაღალხარისხოვანი საქონელი მიაწოდონ.

მკერავებმა ექვს თვეში 2.610 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოუშვეს, რითაც შვიდი თვის გეგმა 102, 1 პროცენტით შესრულეს და ახლა ავგუსტოს ანგარიშში შრომობენ.

ბრიგადის პირადი დამლა

თბილისის ავეჯის კომბინატ „განთიადის“ კოლექტივმა წარმატებით შეასრულა წლის პირველი ნახევრის ვალდებულებები. შემხვედრი გეგმაც შესრულებულია. მეათე ხუთწლედის პირველ წლის ექვს თვეში რეალიზებულია 125 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ამ წარმატებაში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ფარის დეტალების საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც დ. ლომთათიძე ხელმძღვანელობს. ეს მეგობრული კოლექტივი თავის პროდუქციას კომკავშირული გარანტიით უშვებს. ახლახან ბრიგადამ პირადი დამლა მიიღო.

სურათზე: თბილისის ავეჯის კომბინატ „განთიადის“ ფარის დეტალების საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) ა. გურგუმელია, ნ. ენუქიძე, ბრიგადირი დ. ლომთათიძე, მ. სარქისოვი.

შ. კრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

30 ივლისი

„პრავდის“ ფურცლებზე

მათთვის, ვინც ყანაშია

ასრულებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სოფლის მშრომელები ცდილობენ სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, საკმაო როდენობით დამზადონ საკვები მეცხოველეობისათვის, მისცენ ქვეყანას მეტი პროდუქცია.

ზედიზედ ჩაღდება ალოობა ჩვენი ქვეყნის ყველა ზონაში, — წერს გაზეთი მოწინავემი, „ეგი ვვიან შემოდგომამდე გასტანს. და მთელი ამ ხნის მანძილზე მინდორში დასაქმებულ მშრომელთა მომსახურება პარტიული კომიტეტების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ოპერატიულად უნდა გამოვასწოროთ შეცდომები მიწათმოქმედთა ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციაში, გავადიდოთ მომთხოვნლობა მეურნეობათა ხელმძღვანელებისადმი, ვაკრობს, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის მუშაკთა პასუხისმგებლობა მკის მონაწილეთა წინაშე მათი ვალდებულების სანიმუშო შესრულებისათვის.

მზრუნველობა არ მოაკლონ მოსავლისათვის მებრძოლებს, შეუქმნან მათ ნაყოფიერი მუშაობისა და დასვენების პირობები — ასეთია იმათი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვისაც მინდვრის მშრომელთა მომსახურება აქვს მინდობილი.

მეორე-მესამე გვერდებზე რუბრიკით „თეორიის საკითხები“ გაეცნობით ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ა. ზდრავომისლოვის ვრცელ წერილს „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წამყვანი ძალა“.

ნმას წინათ გამართულ სსრ კავშირის მწერალთა VI ყრილობაზე, წერს ცნობილი რუსი პოეტი ევგენი ვინოკუროვი, დიდი ყურადღება დაეთმო პოეზიის საკითხებს. იგი ხომ ჩვენი თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს არსებითი ნაწილია. მის წერილს „დიდ სამყაროში გაჭრილი ფანჯარა“, რომელიც გამოქვეყნებულია რუბრიკით „მხატვარი და დრო“, მეორე გვერდზე წაიკითხავთ.

აღზრდის თემას ეძღვნება „პრავდის“ კორესპონდენტი ს. ბისტროვას წერილი— „პიროვნება რომ ჩამოყალიბდეს“. ამ დღეებში, წერს ავტორი, ჩვენი ნორჩი ცვლის დიდი არმიაზ, რომელსაც მოუთმენლად ელიან და რომლის იმედიც აქვთ სახალხო მეურნეობაში, ცდილობს გადაჭრას პრობლემა: სად წავიდეთ, ვინ გამოვიდეთ? დადგა პასუხსაგები დრო — ახალგაზრდობა უნდა წავიდეს სასწავლებლად, სამუშაოდ. როგორ ვმონაწილეობთ ჩვენ, მოზრდილები, ამ საქმეში? რით ვეხმარებით?

მეოთხე გვერდზე ნახავთ გერმანელი მწერლის იან კოპლევიცის შენიშვნებს „ადამიანები, რომლებიც მიეკარნ“.

მეექვსე გვერდზე რუბრიკით „სიახლენი“ გამოქვეყნებულია ცნობა („სახლები კოხვეიერიდან“), რომ მცხეთაში დაიწყო კარკას-პანელიანი სახლმშენებლობის და სასაქონლო ბეტონის ქარხნის მშენებლობა, რომელის სპეროეკტო სამძლავრე წელიწადში 100 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და 75 ათასი კუბიკური მეტრი სასაქონლო ბეტონი.

ПРАВДА

კომბაინერთა შეჯიბრება

29 ივლისი

სილნალი

მიხეილ გოკინაშვილმა ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნაში“ პურეულის 11 ჰექტარი მოსავალი აიღო და ჰექტარზე საშუალოდ 42 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

დავით ბახტურიძემ ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ თავთავიანი მარცვლეულის კულტურების 10 ჰექტარი მოსავლი მომკა 3 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 41 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

წითელწყარო

გიორგი იაკობიშვილმა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში პურეულის 12 ჰექტარი მოსავალი აიღო და ჰექტარზე საშუალოდ 36 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

სულიკო სუნტაძემ ზემო ქედის კოლმეურნეობაში პურეულის 14 ჰექტარი მოსავალი აიღო და ჰექტარზე საშუალოდ 40 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ახმეტა

თემურ ალიაშვილმა ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობაში პურეულის 14,5 ჰექტარი მოსავალი აიღო და ამით დღიურ ნორმას 6,5 ჰექტარით გადააჭარბა, საშუალოდ ჰექტარზე 41 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

მარნეული

მამედ ხალაფოვმა — ალგეთის მეგვინახეობის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერმა, ადგილზე პურეულის 300 ჰექტარი მოსავალი აიღო, გუშინ დასახმარებლად მივიდა შულავრის მეგვინახეობის საბჭოთა მეურნეობაში და პურეულის 10 ჰექტარი მოსავალი მომკა, ჰექტარზე საშუალოდ 36 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

გურჯაანი

ვალიკო სოლოლაშვილმა კაჭრეთის კოლმეურნეობაში პურეულის 11 ჰექტარი მოსავალი მომკა 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 40 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ჰამლეტ ჯაჭვიანიშვილმა არაშენდის კოლმეურნეობაში პურეულის 10 ჰექტარი მოსავალი აიღო და ამით დღიურ ნორმას 2 ჰექტარით გადააჭარბა, ჰექტარზე საშუალოდ 40 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

თეთრიწყარო

შალვა პაპალაშვილმა კოდის საბჭოთა მეურნეობაში პურეულის 8 ჰექტარი მოსავალი აიღო და ჰექტარზე საშუალოდ 32 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

წლიური გეგმა შეასრულეს

ლანჩხუთის რაიონის მეჩაიეებმა 28 ივლისისათვის მოკრეფეს და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩააბარეს 13.440 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 13.400 ტონისა.

მოკრეფილი ნედლეულის 74,3 პროცენტი პირველი ხარისხისაა. საშუალოდ ჰექტარზე უკვე მიღებულია 6.076 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. წინა წლის ამავე პერიოდისან შედარებით დამზადებულია 500 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი.

ეს „პიმენსისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ღლონტმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ბერაულიძემ.

წარმატებით შრომობენ წლეულს ჩოხატაურელი მეჩაიეები, რომლებიც ახალი შრომითი ენთუზიაზმით უპასუხეგენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებას. რაიონის მეჩაიეებმა 28 ივლისისათვის შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 8.216 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 8.125 ტონისა.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოიკრიფა 600 ტონით მეტი. მოკრეფილი ნედლეულის 76 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ჩაის კრეფის წლიური გეგმა ყველა საზოგადოებრივმა მეურნეობამ შეასრულა. მალე შესრულდება ნაკისრი ვალდებულება, რომელიც 8.500 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

ეს წარმატება „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. იმედაძემ.

თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება

30 ივლისისათვის (ჰექტარობით)

რაიონი	ასაღები ფართობი	აღებული ფართობი	ჰექტარზე საშუალო მოსავალი (ცენტნერებით)
წითელწყარო	24415	19525	35,2
სიღნაღი	20327	16791	30
საგარეჯო	16242	9835	24
ლაგოდეხი	10000	8486	15,3
გარდაბანი	9200	6000	25
თეთრი წყაროო	8841	2730	23
გორი	7191	1670	24,5
მარნეული	6456	4800	26
ბოლნისი	6048	3685	26,2
ყვარელი	6103	5795	18,1
ქარელი	5900	1076	21,2
კასპი	5883	1295	21,9
დმანისი	5100	100	20
ახმეტა	5016	4776	26,3
თელავი	4856	3622	20,8
გურჯაანი	4235	3365	28,1
ხაშური	4200	585	17,2
მცხეთა	2706	1650	24,2

ლ. ი. ბრეჟნევისა და გ. ჰუსაკის მეგობრული საუბარი

30 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს გ. ჰუსაკს, რომელიც დასასვენებლად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, ამასთან ხაზი გაუსვეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის გაფართოებას და გაღრმავებას.

ორივე პარტიის ხელმძღვანელებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის დებულებების რეალიზაციასთან. მათ დაადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ჩეხოსლოვაკიის კომპარტია ყოველ ღონეს იხმარენ იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც ბერლინის კონფერენციაზე წამოაყენეს ევროპის კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა.

საუბარმა ძმური მეგობრობისა და სრული ერთსულოვნების ვითარებაში ჩაიარა. (საკ.ინ.).

ვიფრინავენ „კოსმოს-845“ და „კოსმოს-846“

1976 წლის 27 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-845“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

1976 წლის 29 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-846“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკ.ინ.).

ტ. აზიზი მოსკოვში

30 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. პ. კირილენკომ მიიღო ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტის სოციალური წარმომადგენელი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონული ხელმძღვანელობის წევრობის კანდიდატი, ერაყის ინფორმაციის მინისტრი ტ. აზიზი, რომელიც ვიზიტად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში. ტ. აზიზმა ა. პ. კირილენკოს გადასცა პრეზიდენტ ა. ჰ. ალ-ბაკრის პირადი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისადმი, ა. პ. კირილენკოსა და ტ. აზიზს შორის გაიმართა საუბარი.

ტ. აზიზი ამავე დღეს შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ვ. ვ. კუზნეცოვს.

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩავლილი საუბრების დროს იმსჯელეს აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, ლიბანისა და მასთან დაკავშირებულ ამბებს.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია შეკავშირდეს და განმტკიცდეს პროგრესული არაბული სახელმწიფოებისა და ხალხების, პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მოქმედების ერთიანობა, რაც იმპერიალიზმისა და ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ არაბთა ბრძოლის წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

არმიის გენერალ დ. თ. უსტინოვისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მიენიჭოს არმიის გენერალს დიმიტრი თიმოფეიევიჩ **უსტინოვს** საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1976 წლის 30 ივლისი.

დ. თ. უსტინოვი დაიბადა 1908 წელს ქალაქ სამარაში (ახლა ქალაქი კუიბიშევი) მუშის ოჯახში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1927 წლიდან. 1927 წელს დაამთავრა პროფტექნიკური სკოლა, მუშაობდა ზეინკლად. 1934 წელს სამხედრო-მექანიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ინჟინრად მუშაობდა სარტილერიო სამეცნიერო-კვლევის საზღვაო ინსტიტუტში, შემდეგ იყო ინჟინერ-კონსტრუქტორი, მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე, ქარხნის დირექტორი.

1941-1953 წლებში სახალხო კომისარიაა, შემდეგ კი შეიარაღების მინისტრი. 1944 წელს მას გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიენიჭა. 1953-1957 წლებში სსრ კავშირის თავდაცვის მრეწველობის მინისტრია. 1957-1965 წლებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სათავეში ჩავუდგეთ მასების მზარდ აქტივობას

საქართველოს რესპუბლიკური პროფსაბჭოს პლენუმი

29 ივლისს გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი: „რესპუბლიკის პროფკავშირთა ამოცანები „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის“.

მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. მოხაშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: აფხაზეთის პროფკავშირთა სნოლქო საბჭოს თავმჯდომარე შ. შარტავა, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ე. გოგიაშვილი, № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ემნაძე, მწერალი ხ. ჭილაია, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. ხუციძე, სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე კ. გაზაევი, ნპარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ყურშუბაძე, თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის მექანიკური საამქროს ამწყობი ლ. არინინა, მახარაძის რაიონის ხოფილ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. წითლიძე, მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ი. ჭუმბურიძე, „თბილისტანსაცმელეკეთილობის“ № 2 მაღაზიის სექციონერი თ. ლუდუშაური, თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჩემბერჯიანი.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში ბოლო წლების მანძილზე მიღწეული გარდატეხა, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება, აღინიშნა პლენუმზე, უპირატესად უზრუნველყოფილმა, რომ მოსახლეობის ძირითადი მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობა ავიდა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, რომელიც მიღწეულია კომუნისტური იერარქიის ამოცანათა მიზნადასახული განხორციელების საფუძველზე.

„პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში, საქართველოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები აუმჯობესებენ დამიანთა აღზრდას კომუნისტური მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, შრომისა და სახალხო დოვლათისადმი შეგნებული დამოკიდებულების, სოციალისტური დისციპლინისა და საერთო საქმისადმი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. წარმოებაში შეურიგებელი ბრძოლა მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების, იმ ნაციონალისტური გაბოლშევიკებების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ ზოგჯერ გვხვდება, მომზადებელობის, ღრმამუშული მავნე ზეგავლენების, რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ“.

ასე შეაფასა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს პროფკავშირთა წვლილი პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში.

პლენუმის მონაწილეთა ძირითადი დასკვნა ის არის, რომ განვლილი პერიოდი საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციის ცხოვრებაში იყო მისი ყველა რგოლის საქმიანობის ფართო აქტივიზაციის, ნაკლოვანებათა წინააღმდეგ პრინციპული და თანამიმდევრული ბრძოლის პერიოდი. იგი გამსჭვალული იყო მასწავლებელთ, რომ პროფკავშირების საშუალებათა და შესაძლებლობათა არსენალი მაქსიმალურად დაექვემდებარებინათ ამ ამოცანების მიღწევისათვის, რომელთა მიზანია რესპუბლიკის ეკონომიკაში, კომუნისტური აღზრდისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში სერიოზული ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

პლენუმზე თვითკრიტიკულად შეაფასეს გაწეული მუშაობა, ამხელეს ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, დასახეს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებისა და მეათე ხუთწლედის დავალებების შესრულებისთვის ბრძოლაში საქართველოს პროფკავშირთა როლის შემდგომი ამაღლების კონკრეტული გზები.

მოხსენებასა და გამოსვლებში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვი გადაჭარბა 1.050 ათას კაცს, რაც სამსი ათასით მეტია 1972 წლთან შედარებით. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობის მონაწილეთა რიცხვი. დიდი ყურადღება ეთმობოდა შემოქმედებითი თანამონაწილეობის, მოწინავე გამოცდილებისა და შრომის მეთოდების გავრცელებას.

პროფკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ რესპუბლიკის მშრომელთა ფართო ლაშქრობას წარმოების რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის, მომჭირნეობისათვის, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისათვის, წარმოების სრულყოფისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არამწარო ფალური დანაკარგების შემცირებისათვის.

ამასთანავე პლენუმზე აღინიშნა, რომ გადაჭრით უნდა აღმოვიხვრათ წარსულისაგან აქა-იქ შემორჩენილი და შეუწყნარებელი ოპიოზიციური შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულება, ის შედეგადაც ბევრ შემთხვევაში მას კამპანიალურ შემოქმედებად და ინიციატივის სულის ამფებად. ჯერ კიდევ დაბალია შეჯიბრების ეფექტიანობა. ბევრგან ადგილებზე შეშფოთებას იწვევს ინიციატივების ორადამკმაყოფილელი ხელმძღვანელობა მომსახურებლ სფეროსა და ადგილობრივი მრეწველობის ბევრ ობიექტში. ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია აფერხებს ნიკოლოზ ბარათაშვილის მეთოდით ბრიგადული ორის დანერგვას. სერიოზული ნაკლოვანებაა აგრეთვე ის, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში სუსტად ერიან ჩაბმული საწარმოო-ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

პლენუმზე სერიოზული საყვედურთა გამოთქმეს მეცნიერთა მისამართით, რომლებიც არ აყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს სოციალისტური შეჯიბრების სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ასპექტების შემუშავებისათვის.

ახლანან რუსთაველმა მეტალურგებმა გამოიჩინეს ინიციატივა— „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია“. ამ ინიციატივასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პროფკავშირთა ამოცანაა, აღინიშნა პლენუმზე, არა მარტო ის, რომ მხარი დაუჭიროს და გაავრცელოს იგი ყველა შრომითს კოლექტივში და გააცნონ მისი აზრი და მნიშვნელობა თვითეულ მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს და მოსამსახურეს, არამედ მის საფუძველზე ცალკეანი შეიტანონ თვითეული პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის, დარგობრივი ორგანიზაციის, საქართველოს პროფსაბჭოს, ყოველი რანგის პროფკავშირული მუშაკის მუშაობის სტილსა და მეთოდში.

ჩვენს პლენუმს, თქვეს გამოსულებმა, უფლება აქვს კატეგორიულად მოსთხოვოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის საწარმოთა პროფკავშირულ ორგანიზაციებს, პროფკავშირთა დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტებს ღრმად, გულდასმით და პრინციპული პოზიციებიდან გაარკვიონ ბევრ ობიექტზე სამუშაო დროისა და შრომითი რესურსების განიავების, უყაირათობის, არაორგანიზებულობის მიზეზები.

ჩვენ ვეღარ შეეურიგდებით პასიურად ვადევნოთ თვალი ომს, თუ როგორ იკარგება ყოველწლიურად მილიონ 226 ათასი კაცდღე, დღის განმავლობაში მუშების გაცდენის, მოწყობილობის მოცდენის გამო, ე. ი. ყოველდღიურად არ მუშაობს ოთხი ათას ექვსასი კაცი, ხოლო კადრების დენდობამ 23 პროცენტს მიაღწია.

პლენუმზე თქვა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ხრძოლაში პროფკავშირთა მონაწილეობის შესახებ. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობაში დაინერგა 1.200-ზე მეტი გამოგონება და 112 ათასი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა წლიური ეკონომიური ეფექტი 196 მილიონ მანეთს აღაღწევს. მაგრამ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. ამ მუშაობაში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ორგანიზაციები და მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებები, რომელთა საქმიანობას კვლავ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

მეტად საჭიროა, თქვა პლენუმზე, ამაღლდეს პროფკავშირულ ორგანიზაციათა მებრძოლურობა, გააქტიურდეს მათი ბრძოლა ნედლეულისა და მასალების, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებისათვის. ჩვენ უთუოდ გვჭირდება, აღინიშნეს ორატორებმა, დათვალიერებები, მასობრივი რეიდები, მაგრამ უფრო მეტად გვჭირდება ყოველდღიური ბეჯითი პრაქტიკული მუშაობა, პრინციპულობა, თვითეული სახალხო კაპიკის დაზოგვა.

პლენუმის მონაწილეებმა შეეხნენ მეათე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს ამოცანას — პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლას და აღნიშნეს, რომ 250 ნაწარმიდან, რომლებსაც უკვე რესპუბლიკაში ხარისხის ნიშანი მიენიჭა, დიდი უმრავლესობა კვების მრეწველობას განეკუთვნება. მაგრამ, თქვეს ორატორებმა, რატომ არ გამოიყენა ბრძოლას ხარისხის სახელმწიფონიშნიანი პროდუქციის გამოშვებისათვის მანქანათმშენებელ, საფეიქრო, მსუბუქი, ხეტყის, ქაღალდისა და ხისამუშაოების მრეწველობაში, რას აკეთებენ ამ მხრივ პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტები!

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები უნდა გადაწყვიტონ სოფლის მეურნეობის დარგში. უწინარეს ყოვლისა ეს არის ბრძოლა ყველა მეურნეობის რენტაბელობისათვის, ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ბამბეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის მკვეთრი ზრდა, საზოგადოებრივი მეურნეობის ხელიდრითი წონის ამაღლება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებაში.

პროფკავშირთა საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, აღინიშნა პლენუმზე, ზრუნვა რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის, შრომის, ყოფაცხოვრების, ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ ბევრი რამ სასარგებლო გაკეთდა, მნიშვნელოვნად შემცირდა საწარმოო ტრავმატიზმი. კარგ შედეგებს იძლევა წარმოების კულტურის ამაღლების დარგში საწარმოთა სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის პასპორტიზაცია.

რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებისა და საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სასწავლებლებში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. პირველად რესპუბლიკის პროფკავშირთა პრაქტიკაში შემუშავებულია საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი კვებისა და კულტურის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისა და მათი შემდგომი გაფართოების მეცნიერულად დასაბუთებული ხუთწლიანი გეგმა.

მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა მშრომელების, პიონერებისა და მოსწავლეების სანატორიულ-საკურორტო კურნალობისა და დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე, აღინიშნა პლენუმზე, მხოლოდ უპასუხისმგებლობით შეიძლება აიხსნას მდგომარეობა, რომელიც სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში შეიქმნა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საქმეში.

იქ, სადაც საქმე ეხება მშრომელფა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის საქმეს, თქვა პლენუმზე: პროფკავშირებმა არ უნდა მოიჩიჩონ არავითარი კომპრომისი, გულგრილობა და ყაყრუება.

დიდი ამოცანები დგას საწარმოებში საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. ამ მხრივ რესპუბლიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს.

პლენუმზე დიდი ადგილი დაიკავა მშრომელთა ფართო მასებში პროფკავშირთა იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებმა.

ბოლო წლებში, აღნიშნეს გამოსულებმა, გაიშალა პროფკავშირთა აღზრდელობითი მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში. უფრო ფართოდ აყენებენ ლექციური პროპაგანდის, კომუნისტური შრომის სკოლებისა და სახალხო უნივერსიტეტების, კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეების, ბიბლიოთეკების, წითელ კუთხეების შესაძლებლობებს, ერთი სიტყვით, მთელ არსენალს, რომელიც კი პროფკავშირებს აქვთ. 238 ათასზე მეტი მშრომელი ჭაბუკ პროფკავშირებმა სხვადასხვა ფორმის ეკონომიურ სწავლებაში და მასობრივ პოლიტიკურ პროპაგანდას უწევენ მათ. პრაქტიკაში დანერგილია პროპაგანდის ისეთი პროგრესული ფორმები, როგორიცაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები, ლექციო-მოხსენებების ციკლები, ლექტორიუმები და სხვ. კომკავშირთან ერთად ხორციელდებოდა სასარგებლო და საჭირო მუშაობა ახალგაზრდობასთან. დღეს 10 ათასზე მეტი დამრიგებელი თავის მდიდარ გამოცდილებას გადასცემს რესპუბლიკის 37 ათას ახალგაზრდა მშრომელს.

სერთო კომპლექსში ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა ინტერნაციონალურმა აღზრდამ.

და მაინც, თქვეს პლენუმის მონაწილეებმა, აღმზრდელობითი მუშაობის ბევრი რაოდენობრივი მაჩვენებლის კრიტიკული შეფასება მის წინაშე დასახული დიდი ამოცანების შესაბამისად, სერიოზული პრობლემები მშრომელთა კომუნისტური იდეურობის ნამოკალიბების, მაღალი პოლიტიკური შეგნებულობის. საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობის დარგში და, ბოლოს, ყველგან ჯანსაღი მორალურ ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა გვიჩვენებენ, რომ პროფკავშირთა გაკეთებულებში მასებზე ზეგავლენის არსებულ აქტიურ ბერკეტებს ჯერ კიდევ სუსტად, ზოგჯერ კი ორადამკმაყოფილებლადაც იყენებენ.

მაგალითად, ლექციური პროპაგანდა პროფკავშირულ ორგანიზაციებში მეტ წილ შემთხვევაში მოწყვეტილია მშრომელი კოლექტივების კონკრეტულ ამოცანებისა და გეგმებს, არ თვალსწინებენ აუდიტორიის სპეციფიკას, მსმენელთა მოთხოვნებსა და მოთხოვნებს. ეს ბოლოდ ამით შეიძლება ავხსნა ის, რომ ჩვენს რესპუბლიკის ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია ქვეყანაში ლექციებზე დასწრების მხრივ. ბევრი ნაკლია მუშათა შორის ეკონომიური ცოდნის პროპაგანდაშიც. ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის აღმზრდელობითი მუშაობა მუშა ახალგაზრდობაში.

პლენუმზე განიხილეს აგრეთვე პროფკავშირთა ორგანიზაციული მუშაობის, ხელმძღვანელი პროფკავშირული კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და თვითეული პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საკითხები.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობისა და საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობისათვის მზადება უნდა მიეყოს პროფკავშირთა აქტივობის შემდგომი ამაღლების ნიშნით. ისინი ღირსნი უნდა იყვნენ იმ მაღალი შეფასებისა, რომელიც მათ მუშაობას მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება. (საინფორმ).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე ითქვა:

წლის პირველ ნახევარში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით შემცირდა და ვერ უზრუნველყოფს ჰ.-41 პროცენტით სამრეწველო წარმოების გადიდებას, როგორც ეს მეათე ხუთწლედისათვის გვაქვს დასახული. მრეწველობაში შექმნილ ასეთ მდგომარეობას არ უნდა შეეშვიგდეთ.

□ □

როცა გასამართლებელ მიზეზებს იშველიებენ

რატომ ვამცირებთ გეგმებს, რატომ ვანელებთ ზრდის ტემპს?!

საკავ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობის მაღალი და პირუთვნელი შეფასებაა. ამასთან ეს ისტორიული დოკუმენტი გვიჩვენებს მომავალი საქმიანობის მკაფიო პერსპექტივებს.

განვლო მეათე ხუთწლედის პირველი წლის შვიდმა თვემ. თუმცა უჩვეულოდ ძნიმე და ხანგრძლივი ზამთარი, პირველი გაზაფხული იყო და არახელსაყრელი ზაფხული დადგა, რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელებმა მაინც გადაზე აღრე გაანაღლეს საგეგმო დავალებები.

წლის პირველ ნახევარში მოგზარებელმა გეგმის გადაჭარბებით მიიღო რესპუბლიკის მსუბუქი ინდუსტრიის 7 მილიონ მანეთის პროდუქცია, 35 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების კვების პროდუქტები, ათეულ ათასობით მანეთის სახალხო მოხმარების თუ საწარმოო დანიშნულების სხვადასხვა ნაკეთობა.

მაგრამ რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს ოპერატიული მონაცემების ანალიზი იმასაც გვიჩვენებს, რომ წარმატებებთან ერთად რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებისა და გაერთიანებების მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებებიც არის და ეს ნაკლოვანებები ძირითადად საგეგმო დავალებათა შემცირებისა და ეკონომიური მაჩვენებელთა ზრდის ტემპის შენელების ტენდენციებით გამოიხატება.

ცხადია, გეგმების შემცირება და ტემპის შენელება ემიზეზოდ როდი ხდება. მას აქვს ობიექტური მიზეზებიც, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: მთლიანად რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის გამოშვების 1976 წლის თვალსაჩინველი გეგმა პირველ კვარტალში 6 მილიონი მანეთით და მეტად, ხოლო მეორე კვარტალში კიდევ 5 მილიონამდე მანეთით შემცირდა. პროდუქციის რეალიზაციის თავდაპირველი გეგმაც ამ ექვსი თვის მანძილზე 21 მილიონ მანეთით და მეტად შემცირდა, ამის შედეგად წლეგანდელი სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის საგეგმო ტემპი 5,6 პროცენტიდან 5,3 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 4,3 პროცენტიდან 3,9 პროცენტამდე.

თვით გეგმების გაანალიზებისას საგულისხმო დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ მათი წლის შიდა განაწილების მართებულობაც. მაგალითად, წლეულს პირველ ექვს თვეში პროდუქციის წარმოების გეგმა წლიური გეგმის მხოლოდ 46,6 პროცენტს შეადგენდა, კერძოდ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებში — 45,4 პროცენტს.

წლის პირველ ნახევარში და კვარტალების პირველ თვეებში საგეგმო დავალებათა შემცირება ამის შედეგად წლის მეორე ნახევრის, განსაკუთრებით კი წლის ბოლო თვეების საგეგმო დავალებების გადატვირთვა გაუმართლებელი პრაქტიკაა, რასაც სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებაში პროპორციულობისა და საწარმოთა მუშაობაში რიტმულობის დარღვევა მოჰყვება, ზიანს აყენებს საწარმოთა სამეურნეო კავშირის ნორმალურ განხორციელებას.

აქვე უნდა თქვას, რომ რესპუბლიკის მრავალი სამრეწველო საწარმო და გაერთიანება ვერ ასრულებს ძირითად საგეგმო დავალებებსაც. თუ შარშან წლის პირველ ნახევარში პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებას 78 საწარმომ 21,4 მილიონი მანეთი დააკლო, წლეულს ასეთი აღმოჩნდა 93 საწარმო, რომლებმაც 22,3 მილიონი მანეთით ვერ უზრუნველყეს გეგმის შესრულება.

მოვლენა განცალკევებულად არ არსებობს, მით უფრო ეკონომიკაში. ერთი სახის ნაკლოვანება მეორის მიზეზი ხდება. ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამრეწველო საწარმოები კვლავ ინტენსიურად ვერ იყენებენ ეკონომიურ პოტენციალს და, ცხადია, ეკონომიური მაჩვენებელთა ზრდის ტემპიც ნელდება. ეს ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე.

ზევრი სამინისტროსა და უწყების გაერთიანებები და საწარმოები დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ შრომის ნაყოფიერების გასაადიდებლად და ამის გამო წარმოების ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი — შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით დამატებითი პროდუქციის გამოშვების დავალება მათ საშუალო რესპუბლიკურზე გაცილებით მცირე აქვთ. მაგალითად, შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყო პროდუქციის მთელი მატების მხოლოდ 49,1 პროცენტი (შარშან ეს მაჩვენებელი 93 პროცენტს აღწევდა), საბინაო და კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ — 54,5 პროცენტი (შარშან 83,6 პროცენტი), კვების მრეწველობის სამინისტრომ — 74,5 პროცენტი (შარშან 82,6 პროცენტი) და ა. შ.

შესაბამისი მოხაცემების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მრავალმა საწარმომ, რომელთა რაოდენობა რესპუბლიკის საწარმოთა საერთო რაოდენობის 26 პროცენტია, წინა წლის შესაბამის პერიოდში ფაქტიურად მიღწეული პროდუქციის წარმოების დონე 61,3 მილიონ მანეთით შეამცირა, საწარმოთა საერთო რიცხვის 23 პროცენტმა კი რეალიზაცია 56,5 მილიონი მანეთით, 27 პროცენტმა — შრომის ნაყოფიერების ლდის კომბინატში 1976 წლის პირველი ნახევრის პროდუქციის წარმოების გეგმა 6,5 პროცენტის ანუ 783 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზაციისა — 4,9 პროცენტის ანუ 586 ათასი მანეთის გადაჭარბებით შეასრულა. ამავე დროს, პროდუქციის წარმოების 1975 წლის პირველ ნახევარში მიღწეული დონე მან 6,6 პროცენტით (ანუ 903 ათასი მანეთით) შეამცირა, რეალიზაციისა კი 5,4 პროცენტით (ანუ 857 ათასი მანეთით).

1976 წლის პირველ ნახევარში პროდუქციის წარმოების გეგმას თბილისტრიკოდუქტების კომბინატმა 1.445 ათასი მანეთით გადაჭარბა, მაგრამ წინა წლის ფაქტიურად მიღწეული დონე თითქმის 1 მილიონი მანეთით შეამცირა, ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანამ, შესაბამისად, 1176 ათასი მანეთით და 532 ათასი მანეთით, საწარმოო გაერთიანება „აფხაზთამბაქომ“— 351 ათასი მანეთით და 2943 ათასი მანეთით და ა. შ. ასეთია რიცხვს ეკუთვნის აგარისა და ქუთაისის საკონსერვო ქარხნები, ბორჯომისა და ბაკურიანი ღვინოებ ქარხნები, ზუგდიდის სარეონთაბალნისა ჩაის, საწარმოო გაერთიანება, სოხუმის საქსოვი ფაბრიკა, ნორჩინის ტექსტილ ნაკეთობათა და თბილისის ... 1 მექანიკური ქარხნები და ... ცხადია, ამის მიზეზი — ბევრია, რომელთა შორის ცოტა როდი „ობიექტური“, ე. ი. „საწარმოსაგან დამოუკიდებელი მიზეზებით გამპირობებული გარემოებები“, მათ შორის არის ისეთ კლიმატური პირობები, მოთხოვნილების შეცვლასთან დაკავშირებული პროდუქციის ასორტიმენტის ცვლა, მომარაგება-გასაღების ორგანოების მოუქნელი მუშაობა, სტაბილური სამეურნეო კავშირის მოუგვარებლობა, მიღებული ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, მოწყობილობათა შეუსაბამობა წარმოების ინტერესებთან და ათასი სხვა სამეურნეო საკითხი. მაგრამ რით შეიძლება ამის გამართლება, რომ ჩვენს საწარმოთა აბსოლუტურ უმეტესობის დღემდე არა აქვთ პროდუქციის ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემა, რომ ბათუმის ქიმიურ ფარმაცევტულ ქარხანაში 1968 წელს ამოქმედებული კალიუმის ფენოლის წარმოების უმანი 1976 წლის დამდეგისათვის საპროექტო სიმძლავრით გათვალისწინებული პროდუქციის მხოლოდ 23 პროცენტს უშვებდა, თბილისის კამვოლურ სართავ ფაბრიკაში 1967 წელს ამოქმედებული სართავი წარმოება პროდუქციის 57 პროცენტს აწარმოებდა, წინდის ფაბრიკა „კრწანისში“ 1972 წელს ამოქმედებული სამეფარო გამომყენები საამქროს საპროექტო სიმძლავრით გათვალისწინებული პროდუქციის მხოლოდ 61 პროცენტს იძლევა და სხვ. საერთოდ რესპუბლიკის ცალკეული საწარმოების მიერ პროდუქციის წარმოების საპროექტო სიმძლავრეების აუთვისებლობის გამო შარშან რესპუბლიკის მრეწველობის 200 მილიონი მანეთის პროდუქცია დაკარგა.

ასეთ პირობებში საბრძოლო მოწოდებად გაისმის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სტიკვები, რომ საქართველოს მშრომელები უფრო მეტი ენერგიით უნდა იღვწოდნენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, უფრო გადაჭრით ებრძოლნენ უყაირათობას, ნედლეულს, მასალებს, ფულადი სახსრების ხარჯვაში ფლანგველობის ფაქტებს, სამუშაო დროის დანაკარგებს.

ა. გაბისონია,

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

ეკონომიური მიმოხილვა

პარტიული ქრონიკა

□

თაობების შეხვედრა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). კომკავშირის საქალაქო კომიტეტისა და კომკავშირის ვეტერანთა საბჭოს ინიციატივით მოეწყო ძველი და ახალი თაობების შეხვედრა. მონაწილეობდნენ ქალაქის ახალგაზრდობა, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სამამული ომისა და შრომის გმირები, ვეტერანი კომკავშირელები, ძველი ბოლშევიკები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები.

ძველი და ახალი გვარდიის წარმომადგენლებმა ქალაქის ცენტრში გვირგვინებით შეამკეს ლენინის ძეგლი. ბოტანიკურ ბაღში ღია ცის ქვეშ შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. შამათავამ.

მოხსენება თემაზე — აღვზარდოთ ახალგაზრდობა მაღალი კომუნისტური სულისკვეთებით — გააკეთა კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. მალაშხიამ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ: მწერალი და ჟურნალისტი შ. შენგელია, კომკავშირის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე თ. ჭეჩელიანი, ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ს. ძიძაძე, ენგურჰესის მშენებლობის მუშა ო. ნაკაშიძე, მოსწავლეები ვ. ანთია და ლ. ჭითანავა.

საინტერესო საუბარში ჩაებნენ სტუმრებიც — აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, მწერალი ნ. აგიაშელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალ. კოპლოვაშელი და მოსკოველი სტუდენტი ლათინური ამერიკიდან ჰ. პეგერო.

სტუმრებმა საკონსერვო ქარხნის ახალგაზრდა მუშებს ზახალი ნიმუშის კომკავშირული ბილეთები გადასცეს.

გ. ნოდია.

□

ჟურნალის განხილვა

ორჯონიკიძე. ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქციასთან ერთად მოაწყო ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ 1975-1976 წლებში გამოსული ნომრების განხილვა.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. დგებაძემ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელ ნ. ბერიძემ, ...

მშვიდობის დიადი ქარგვა

ვარშავა. (საკ.ფილი). პოლონეთის თათბირის სახელმწიფოთა ელჩმოწერის შემდეგ განვლილმა ერთმა წელმა დაადასტურა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დოკუმენტს ჩვენი კონტინენტის უშიშროებისა და მშვიდობის გაძლიერებისათვის. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის სამდივნოს, რომელიც დაარსებულ შენელების პოლიტიკამ ეროგრესის კონკრეტული გამოხატულება გახდა, ორსებითი დადებითი ცვლილებანი გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობაში, განაცხადა საკ.ფილის კორესპონდენტთან საუბარში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ოლშოვსკიმ.

ჰელსინკის შემდეგ განვლილი პირველი წელი მოწმობს, რომ დამამშვიდებელ შენელებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკა, რომელიც დაიწყეს და თანამიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა და რომელსაც მხარს უჭერენ რეალიზმისა და პროგრესის მთელი ძალები მსოფლიოში, მკვიდრდება ევროპის ხალხთა შეგნებაში. სახალხო პოლონეთი, თავის მხრივ, ყოველ ღონეს ხმარობს ამ ტენდენციათა განმტკიცებისათვის, რასაც მოწმობს თუნდაც ის პროგრესი, რომელსაც შარშან მიაღწიეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობაში საფრანგეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ავსტრალიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, სკანდინავიის ქვეყნებთან და სხვა სახელმწიფოებთან.

სამოლოო აქტი ამ მოქმედების გრძელვადიანი და კომპლექსური პროგრამაა, რომლის მიზანია ევროპის გადაქცევა მტკიცე მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის კონტინენტად. მას შემოხვევით არ უწოდებენ მშვიდობის დიად ქარტიას. დოკუმენტი ყველა ხელმოწერ სახელმწიფოს იკანონებს ეკონომსინდისიერად და შეთანხმებულად განსაზორციელონ ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული პრინციპები და მორიგებანი.

სკკ XXV ყრილობამ, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობამ და სხვა მომძე პარტიათა ყრილობებმა, ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციამ უკომპრომისოდ ჩამოაყალიბეს მშვიდობისა და პროგრესის მთავარი ძალების დამოკიდებულება განიარაღების, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პრინციპების განხორციელების საკითხებისადმი. ერთ-ერთ მთავარ საკითხად მიგვანშია გამალებული შეიარაღების შეზღუდვა და განიარაღების საკერო ღონისძიებათა განხორციელება.

ჩვენ ვესწრაფვით კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გავაფართოოთ თანამშრომლობა ორმხრივ საფუძველზე და მრავალმხრივი თანამშრომლობა ცხოვრების სულ სხვადასხვა დარგში. მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებისათვის, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის იდეას, რომ მოეწყოს ხალმე სრულიად ევროპის კონგრესები გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის განვითარების დარგში თანამშრომლობის საკითხებზე.

ჩვენ გულწრფელად ვესწრაფვით, რომ გრძელდებოდეს და ღრმავდებოდეს საერთაშორისო პროცესები, რომელთა გამოხატულებად და სამბოლოდ იქცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი. ამ მხრივაც გვაქვს ოპტიმიზმის საფუძველი. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თათბირის სამოლოო აქტი შეიცავს ხვალინდელი ევროპის რეალისტურ სურათს, თქვა დასასრულ ს. ოლშოვსკიმ.

ვიზიტი დამთავრდა

ჰავანა. (საკ.ფილი). კუბაში დამთავრდა ოფიციალური ვიზიტი ანგოლის მთავრობის დელეგაციისა, რომელსაც ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი აგოსტინო ნეტო მეთაურობდა.

ვიზიტის მსვლელობაში გაიმართა მოლაპარაკება კუბისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის, რომელსაც მეთაურობდნენ შესაბამისად ფ. კასტრო და ა. ნეტო. ხელი მოაწერეს სამთავრობათშორისო შეთანხმებას ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, შეთანხმებას კუბის კომპარტიისა და ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თანამშრომლობის შესახებ, ავრეთვე მეორეგ დოკუმენტებს, რომლებიც თვალსაზრისებენ კუბა-ანგოლის თანამშრომლობის განვითარებას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში.

გუშინ დელეგაცია სამშობლოში გაფრინდა.

მთავროგის დადგენილება

ლაპა, (საკ.ფილი). აქ გამოქვეყნდა ბანგლადეშის მთავრობის დადგენილება, რომელიც ნებას რთავს, რომ ქვეყანაში შეიქმნას პოლიტიკური პარტიები, ავრეთვე აწესრიგებს მათ საქმიანობას.

1 სექტემბრამდე პერიოდში თვითეულმა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა წარუდგინოს მთავრობას თავისი წესდება, პროგრამა, არჩევნებისწინა მახიფესტი, აგრეთვე იმ ორგანიზაციების სია, რომლებიც მოცემულ პარტიასთან კავშირში გამოდიან.

აკრძალულია, კერძოდ, პოლიტიკური პარტიების შექმნა საზღვარგარეთიდან მიღებული სახსრებით, აგრეთვე პარტიებისა, რომლებიც გამოვლენ ისეთი პოზიციებიდან, რომელნიც „ზიანს აყენებენ ქვეყნის დამოუკიდებლობას“.

ყოველ პარტიას, რომელიც დაარეგისტრირებულ დადგენილების დებულებებს, დაშლიან, ნაზგასმულია ამ დოკუმენტში.

ყრილობა დაიხურა

ტოკიო. (საკ.ფილი). იაპონიის კომპარტიის რიგგარეშე მე-13 ყრილობამ, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა აქ, დღეს მუშაობა დაამთავრა. ყრილობის დელეგატებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ამ შემოდგომაზე იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნებს და ქვეყანაში დემოკრატიული ძალების ერთიანი ფრონტის შექმნის პერსპექტივებს, განიხილეს საშინაო-პოლიტიკური და საერთაშორისო პრობლემები, ნაწილობრივი შესწორებანი შეიტანეს პარტიის პროგრამასა და წესდებაში.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ოლშოვსკის განცხადება

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პრინციპების განხორციელების საკითხებისადმი. ერთ-ერთ მთავარ საკითხად მიგვანშია გამალებული შეიარაღების შეზღუდვა და განიარაღების საკერო ღონისძიებათა განხორციელება.

ჩვენ ვესწრაფვით კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გავაფართოოთ თანამშრომლობა ორმხრივ საფუძველზე და მრავალმხრივი თანამშრომლობა ცხოვრების სულ სხვადასხვა დარგში. მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებისათვის, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის იდეას, რომ მოეწყოს ხალმე სრულიად ევროპის კონგრესები გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის განვითარების დარგში თანამშრომლობის საკითხებზე.

ჩვენ გულწრფელად ვესწრაფვით, რომ გრძელდებოდეს და ღრმავდებოდეს საერთაშორისო პროცესები, რომელთა გამოხატულებად და სამბოლოდ იქცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი. ამ მხრივაც გვაქვს ოპტიმიზმის საფუძველი. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თათბირის სამოლოო აქტი შეიცავს ხვალინდელი ევროპის რეალისტურ სურათს, თქვა დასასრულ ს. ოლშოვსკიმ.

ამერიკის პრეზიდენტის წერილები

ვაშინგტონი. (საკ.ფილი). პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მდგომარეობის თაობაზე.

მოლაპარაკების ახლანდელ სტადიაზე, განაცხადა მან, საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს ვლადივოსტოკის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ. უკვე მიღწეულია მორიგება იმ მეტი წილი ელემენტების თაობაზე, რომლებიც იქიდან ელემენტ საბოლოო შეთანხმებისათვის. გარკვეული საკითხები ჯერ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ ჩვენ განვაგრძობთ მეცადინეობას მათ გადაწყვეტად.

პრეზიდენტმა აღნიშნა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების დადებითი მნიშვნელობა. ვარშავის ხელშეკრულებისა და ნატოს ქვეყნებმა წამოაყენეს ახალი წინადადებანი, ნათქვამია წერილში. ამას გარდა, საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა განიარაღების კომიტეტის სხდომებზე ჟენევაში შეიტანეს იდენტური ბროექტები კონვენციისა, რომელიც ითვალისწინებს, რომ აიკრძალოს ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსინური იარაღის ფლობა, დამუშავება, წარმოება და დაგროვება, ასევე მათ განადგურებაზე ვალდებულება. ეს ჩვენებანი, აგრეთვე მრავალი დოკუმენტი ჩვენ შორის არსებული მდგომარეობის შესახებ საფუძველად დაედება მოხსენებას, რომელსაც წარადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე სესიის განსახილველად.

„როგორ საქმე ფულს ეხება, — განაცხადა ტ. ლიტერიკმა, — ამერიკელები არავის არ თვლიან თავანთ მეგობრებად“.

ეროვნული ინტერესები

— საერთაშორისო შენიშვნები

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საპრეზიდენტო კამპანიაში, რომელიც ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაღდება, პირველი ფინალისტი უკვე გამოვლინდა. ნიუ-იორკში გამართულ საერთო ეროვნულ ყრილობაზე დემოკრატიულმა პარტიამ კენჭისყრის პირველსავე ტურში თავის პრეზიდენტობის კანდიდატად ჯორჯის შტატის გუბერნატორი ჯეიმს ეერ კარტერი აირჩია.

დემოკრატთა ყრილობა თათბირობდა სპორტის სასახლე „მედისონ სკვერ-გარდენში“, სადაც წინა დღეს საკერკო წარმოდგენა გაიმართა. სიანტერესო დამთხვევაა — ნიუ-იორკში გამართული დემოკრატიული პარტიის უკანასკნელი ყრილობაც სხდომებს მართავდა „მედისონ სკვერ-გარდენში“ (მართალია, ძველ შენობაში) და მასაც საკერკო წარმოდგენა უძღოდა წინ. ეს იყო 1924 წელს.

თავს ნება მივეცი ამ კურიოზზე შეეჩერებულიყავი იმიტომ კიარა, რომ უფრო თვალსაჩინო ვამეხადა ამ ორი მოვლენის დამთხვევა, არამედ იმიტომ, რომ ხაზი გამესვა, როგორ არ ემთხვევა ერთმანეთს ისინი. საქმე ის არის, რომ 1924 წელს დემოკრატებმა თავიანთი კანდიდატი — იგი მაშინ ჯონ დევისი ვიყავ — აირჩიეს მომქანცველი მარათონის შემდეგ, რომლის დისტანციის ოდენობა 103 კილომეტრი ისინი. საქმე ის არის, რომ 1924 წელს დემოკრატებმა თავიანთი კანდიდატი — იგი მაშინ ჯონ დევისი ვიყავ — აირჩიეს მომქანცველი მარათონის შემდეგ, რომლის დისტანციის ოდენობა 103 კილომეტრი ისინი. საქმე ის არის, რომ 1924 წელს დემოკრატებმა თავიანთი კანდიდატი — იგი მაშინ ჯონ დევისი ვიყავ — აირჩიეს მომქანცველი მარათონის შემდეგ, რომლის დისტანციის ოდენობა 103 კილომეტრ! ახლა კი კარტერმა პირველი ცდისთანავე მიიღო ვოტუმი.

1924 წელს დევისი საერთაეროვნულ არჩევნებში დამარცხდა. მისი პარტია დანაწევრებული იყო. 1976 წელს კარტერმა მოახერხა თავის გარშემო გარეგნულად მაინც დემოკრატთა სხვადასხვა ფრაქცია შემოეკრიბა. სახელდობრ, „მედისონ სკვერ-გარდენში“ გამართული ყრილობის მთავარი ამოცანა იყო არა კანდიდატის არჩევა — ეს უკვე წინასწარ იყო გადაწყვეტილი — არამედ დემოკრატიული პარტიის ერთიანობის დემონსტრაცია. სწორედ ამ ზეამოცანას, თუ შეიძლება ეგიზამართოთ თეატრალური ტერმინი, დაექვემდებარა მთელი ყრილობის რეჟისურა.

დავიწყოთ ყრილობაზე მიღებული პარტიის პროგრამით. იგი ფორმით დეკლარაციული იყო და შინაარსით ყველაფერს მოიცავდა. ამ პროგრამაში ყველას თავისი წილხვედრი არგუნეს. მასი პრეზენტაციაც კი სიმბოლური იყო. პროგრამა, სხვებთან ერთად, წარმოადგინეს სულ სხვადასხვა პოლიტიკური სპექტრის მოღვაწეებმა, ოღგორიც არიან კრეტა კინგი, ზანგთა ლიდერის, ფერადკანიანი მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლის მარტინ ლუთერ კინგის ქვრივი და სუპერ-ქორი, პირფერადფილი რეაქციონერი ალმირალი ელმო ზამუელტი, რომელიც ამ ბოლო დრომდე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო შტაბის უფროსი იყო.

თუმცა ტრადიციით ამერიკის ბურჟუაზიული პარტიების პროგრამები სრულიადაც არ ემთხვევა მათი პრეზიდენტობის კანდიდატების თვალსაზრისს და საარჩევნო ტაქტიკის იარაღი უფროა, ვიდრე სახელმწიფო სტრატეგიის პლატფორმა, მოკლედ შეეფიბოთ „მედისონ-სკვერ-გარდენში“ მიღებულ დოკუმენტს.

დემოკრატთა პროგრამის საგარეო-პოლიტიკურ ნაწილში ალნიშნულია, რომ ამერიკის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი „უნდა იყოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების განგრძობა“. პროგრამაში შემდეგ ნათქვამია, რომ ატომური განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სფეროში შეერთებული შტატები უნდა „სწრაფვოდეს ხლეჩადი მასალების და ატომური იარაღის გავრცელების შეზღუდვის; კონკრეტულ შეთანხმებებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ; ატომური გამოცდის ყოვლისმომცველ აკრძალვას; ნაცვალგების საფუძველზე საბჭოთა კავშირთან და სხვა სახელმწიფოებთან ატომური არსენალების შემცირებას, რასაც საბოლოო ანგარიშით ისეთი არსენალების მოსპობა მოჰყვება; საბჭოთა კავშირთან და სხვა სახელმწიფოებთან ნაცვალგების საფუძველზე იარაღის გაყიდვისა და განვითარებადი ქვეყნებისათვის გადაცემის შეზღუდვის; შეთანხმებას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შეწონასწორებული შემცირების შესახებ.

ეროვნული ეკონომიური ჯაშუშობა

ლონდონი. (საკ.ფილი). დიდ ბრიტანეთის წინააღმდეგ ეკონომიური ჯაშუშობა დასდო ბრალად ამერიკის შეერთებულ შტატების თემთა პალატის ოემთა პალატის ყვრამ, ლეიბორისტმა ტ. ლიბერიმა.

მან განაცხადა, რომ აქეს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საგანტის ყოფილი თანამშრომლისაგან მიღებული მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ ამ საგანტის ჯაშუშური საქმიანობის მასშტაბს.

სამრეწველო ჯაშუშობისათვის იყენებენ ეფელის, ჯიჭსენდლის, ჩელტნემისა და ჰემპშირის კაბინირის სამხედრო ცენტრებს, რომლებიც ინგლისმა ამერიკელების განკარგულებაში გადასცა. ფორმალურად ყოველ ასეთ ცენტრს მეთაურობს ინგლისელი სამხედრო მოსამსახურე, მაგრამ იქ მყოფი ამერიკელი თანამშრომლის რანგი უფრო მაღალია. ეს თანამშრომლები ეჭერენ დაშიფრულ მიმოწერას ბრიტანეთის სამრეწველო კომპანიებსა და მათ საზღვარგარეთის ფილიალებს შორის, აწარმოებენ მის დეკოდირებას და გზავნიან ამერიკაში. ამის შედეგად ინდოსის კომერციული ცნობილი ხდება ამერიკული ფირმებისათვის.

„როგორ საქმე ფულს ეხება, — განაცხადა ტ. ლიტერიკმა, — ამერიკელები არავის არ თვლიან თავანთ მეგობრებად“.

ეროვნული ინტერესები

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკლესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ტელეტაიპის ლენტიდან

ვარშავა

● აქ გამოქვეყნდა მთავარი სტატისტიკური სამმართველოს ცნობა წლის პირველი ნახევრის სახალხო-სამეურნეო დაგალებათა შესრულების შესახებ.

მიმდინარე წლის ექვსთვეში ქვანახშირის მოპოვების გეგმა შესრულებულია 103,4 პროცენტით, ელექტროენერგიის წარმოებისა — 109,2 პროცენტით, გაგლინული ნაწარმისა — 104,9 პროცენტით. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებულია სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, ჩარხების, საანგარიშო-გამოსათვლელი მანქანების წარმოების დაგალებანი. ქვეყნის საშინაო ბაზარზე მიიღო ზეგეგმითი მაგნიტოფონები, სარეცხი მანქანები, მაცივრები.

ტოკიო

● განვლილ საფინანსო წელს იაპონიის ფილიალებში მნიშვნელოვნად გაიზარდა დანაშაულობათა რიცხვი. ეს წერია თეთრ წიგნში, რომელიც ქვეყნის პოლიციის მთავარმა სამმართველომ მოამზადა.

პოლიციის მონაცემებით, წლის მანძილზე იაპონიაში მთლიანად 1.234.307 სისხლის სამართლის დანაშაული მოხდა. აქედან ნახევარზე მეტი — ტოკიოში, ოსაკასა და ნაგოიში.

ბრიუსელი

● ორ მილიონ-ნახევარზე მეტი ბელგიელი ცხოვრობს ავარიულ სახლებში, სადაც ანტისანიტარია სუფევს. გაზეთი „დრაპო რუეი“, რომელიც ამას იტყობინება, წერს, რომ ქვეყანაში სასწრაფოდ სჭირდება შეკეთება 870 ათას ბინას. მაგრამ ხელისუფალნი გულგრილად ეკიდებიან ამ პრობლემის გადაწყვეტას და პრაქტიკულად ბევრს არაფერს აკეთებენ მის გადასაჭრელად, თუმცა იგი მშრომელთა უმრავლესობის საარსებო ინტერესებს შეეხება.

დელი

● წელს მახარაშტრას შტატის მთავრობა 250 მილიონზე მეტ რუპიას გამოყოფს ეკონომიურად შედარებით ჩამორჩენილი მოსახლეობის ფენების წარმომადგენლებისათვის სახლების ასაშენებლად, თქვა ბომბეიში შტატის მთავარმა მინისტრმა ს. ბ. ჩავანმა. სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილ სამას ჰექტარზე აშენდება 25 ათასზე მეტი ახალი სახლი. მთავრობამ უბრძანა ბანკებს, რომ იმათ, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს, შეღავათიან პირობებში მისცენ სესხი მშენებლობის საჭიროებისათვის.

მოკლედ

ეროვნული ინტერესები

— საერთაშორისო შენიშვნები

ფუალედური ფინალი

„მედისონ სკვერ-გარდენში“

ვინ იქნება ამერიკის პრეზიდენტი?

ოთხშაბათს ყველაფერი „ო, კეი“, როგორც ამერიკელები ამბობენ, მაგრამ პროგრამა არც ორი ხელით და არც, ასე გასინჯეთ, ოთხი ხელით არ იწერებოდა. კი რატომ არის, რომ პროგრამის საგარეო-პოლიტიკური ნაწილის დადებითს ელემენტებს ეწინააღმდეგება ანტისაბჭოური ცილისწამება და წინადადებები, რომლებიც ხელს კი არ უწყობენ, არამედ ხელს უშლის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს. მაგალითად, პროგრამა შეიცავს მტკიცებებს, თითქოს საბჭოთა კავშირის მოქმედება „ყველგან სერიოზულ საფრთხეს უქმნიდეს მშვიდობას“. რა თქმა უნდა, ეს კორეტა კინგს არ დაუწერია. აქ ამკარად ჩანს „ცივი ომის“ რაინდების — სენატორ ჯექსონის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი წარმომადგენლების მოინიჰენის, რეიმონერი ბროფლიდერის მინის ხელწერა.

წინაადმდეგობით არის აღსავსე პროგრამის ის ნაწილები, რომლებიც საშიანო პოლიტიკას ეხება. აქ მიმართავენ ცდას პოლიტიკური კაპიტალი შეიძინონ ფართოდ გავრცელებული შეშფოთებით უმუშევრობის გამო, რომელმაც მუშახელის 7,5 პროცენტი შთანთქა, და ინფლაციის მაღალი დონით, მოცემულია მეტად ბუნდოვანი დაპირება, რომ შეამცირებენ უმუშევრობისა და ინფლაციის დონეს, გაიუმჯობესებენ სამედიცინო მომსახურებასა და განათლების სისტემას და სხვა სოციალურ მომსახურებას, შეამცირებენ გარემოს გაჭუჭყიანებას და სხვ. მაგრამ ეექნებოდა ჩრდილოეთის შტატებში, კათოლიკეებს, პროფკავშირულ მასებს, ებრაელ ამომრჩეველებსა და ლიბერალურ ინტელიგენციას შორის.

ის კაცი, რომელიც ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა, უილტერ ფრიდრიხ („ფრიც“) მონდეილი აღმოჩნდა.

ვინ არის მონდეილი, როგორია მისი პოლიტიკური ბიოგრაფია? ეი უკვე თითქმის თორმეტი წელია იგი სენატში. მინესოტის შტატს წარმოადგენს. სხვათა შორის, პირველად მონდეილი სენატში არჩევნების შედეგად კი არა, დანიშვნით შევიდა: მისი წინამორბედი — სენატორი ჰუმფრი კენჭს იყრიდა ვიცე-პრეზიდენტად, განთავისუფლებულ ადგილზე კი მონდეილი დანიშნა.

მონდეილი 48 წლის არის. მისი წინაპრები ამერიკის შეერთებულ შტატებში ნორვეგიიდან გადასახლდნენ. მონდეილის მამა ღარიბი ბაპტისტი მქადაგებელი იყო. განათლებით მონდეილი იურისტია. სენატში შესვლამდე მას თავისი შტატის გენერალური პროკურორის თანამდებობა ეკავა. მონდეილი თავისი პოლიტიკური შეხედულებებით ყველაზე ახლოს დგას ედუარდ კენედისთან, ხოლო სახელმწიფო მოღვაწეობაში მისი მეწყერი, ასე ვთქვათ, „ნათლია“ არის სენატორი ჰემფრი. ამრიგად, მონდეილი დემოკრატიული პარტიის მმართველ ზედაფენაში ყველაზე ლიბერალური მიმდინარეობის წარმომადგენელია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად მონდეილს თავად სურდა ებრძოლა დემოკრატებისგან პრეზიდენტობის კანდიდატის პოსტისათვის მას შემდეგ, რაც კენედიმ გადაჭრით თქვა „არი საარჩევნო ბატლიებში მონაწილეობაზე. უკანასკნელ ეტაპზე კი მონდეილი ჰემფრის მოუწოდებდა ჩაბმულიყო კამპანიაში ლობუნგით „შეარჩიეთ კარტერი!“ ის ფაქტი, რომ კარტერმა, ზემოთქმულის მიუხედავად, არჩევანი მაინც სწორედ მონდეილზე შეაჩერა, მოწმობს, რომ პოლიტიკურმა მოსაზრებებმა პირადულ მოტივებზე გაიმარჯვა.

მაგრამ ასე, კარტერ-მონდეილის დემოკრატიული წყვილი მზად არის საბრძოლველად. ამას, თუ ვინ იქნება მისი მეტოქე პრეზიდენტის არჩევნებში, განსაზღვრავს რესპუბლიკური პარტიის ყრილობის შედეგები, რომელიც აგვისტოში კანზას-სიტში (მისურის შტატი) გაიმართება.

მელორ სტურუა.

ამხილეს ბუნტის ბოროტმოქმედებებს

ნიუ-იორკი. (საკ.ფილი). აქ გახსნა ჩილეში ადამიანის უფლებების დარღვევათა გამომძიებელი იმ სამუშაო ჯგუფის მორიგი სხდომა, რომელიც შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების კომისიასთან. სხდომა მოისმენს საკონსულტაციო ბანაკების ყოფილ ტუსაღთა ჩვენებებს, პინოჩეტის ფაშისტური ხუნტის მიერ განაღებული ნისლიანი ტერორის თვითმხილველთა, ძალადობისა და რეპრესიების მსხვერპლთა ჩვენებებს. ეს ჩვენებანი, აგრეთვე მრავალი დოკუმენტი ჩილეში არსებული მდგომარეობის შესახებ საფუძველად დაედება მოხსენებას, რომელსაც წარადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე სესიის განსახილველად.

სოციალისტურ ქვეყნებში



ქუბა. ქ. ოლგინის გარეუბანში საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით შენდება ლერწმის ახალი კომბაინების ქარხანა — კუბის მანქანათსაშენებლო მრეწველობის ფლაგმანი. იგი ყოველწლიურად 600 კომბაინს გამოუშვებს, რაც უზრუნველყოფს შაქრის ლერწმის აღების მაქსიმალურ მექანიზებას.

სურათზე: ქარხნის მთავარი კორპუსის მშენებლობა, ნინა პლანზეა ქარხნის მშენებლობის უფროსი ხოსე რამონ ლიმა.

სპეციალური ფოტო.

ვეკინის ზემოქმედებამ ვერ გაჭრა

მაოისტური დიპლომატიის ხელმძღვანელები გაფფრებული არიან. როგორ გაბედეს, რომ მეზობელ ტოკიოში საეჭვოდ მიიწვიეს კურსი, რომელსაც მაოისტები დიდი ხანია დაეინებით ახორციელებენ „ამომავალი მზის ქვეყნის“ მიმართ. და არა მარტო საეჭვოდ მიიწვიეს, არამედ არსებითად უარყვეს კიდეც.

რამ გამოიყენა მაოისტები წონასწორობიდან? ბოლო დრამდე ხომ პეკინში მიაჩნდათ, რომ ჩინეთის ურთიერთობა იაპონიასთან ვითარდება მოს წინასწარდასახულობის შესაბამისად, რომლის სტრატეგიული მიზანია დაარღვიოს იაპონიის ტრადიციული ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირთან, გადაიქცეოს იგი ჩინეთის სამრეწველო დანამატად, გამოიყენოს თავისი დიდმპყრობელური მიზნებისათვის.

პეკინის გულისწყრომის საბაბი გახდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის კ. მიაძავის გამოსვლა პარლამენტის ზედა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში. მინისტრმა აღნიშნა იაპონიის სუვერენული უფლება იქონიოს საკუთარი აზრი საერთაშორისო ურთიერთობის შეფასების საკითხებში და არსებითად მოუწოდა პეკინს შეწყვიტოს იაპონიის შინაური საქმეებში ჩარევა. მიაძავამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პეკინის არაერთგზის ცდებს უთანხმოება ჩამოაგდოს იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის „იაპონია-საბჭოთა კავშირის ტერტორიულ საკითხში იაპონიის „მხარდაჭერის“ ნიღბით. მან განაცხადა, რომ „არავითარი თვალსაზრისით“ არ არის სასურველი პეკინის ჩარევა ამ ურთიერთობაში. მინისტრმა თქვა აგრეთვე, რომ მას არ შეუძლია მოიწონოს პეკინის მოთხოვნა იაპონია-ჩინეთის „შვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულებაში“, რომლის პროექტსაც ამზადებენ, შეიტანონ დებულება „ჰეგემონიის“ შესახებ, მიმართული, როგორც ახლა ეს ყველასათვის ცხადია, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციის ფართოდ დაუჭერეს მხარი იაპონიის პრესაში. გაზეთი „იომიური“, მაგალითად, აღნიშნავდა, რომ იაპონიის სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით, კ. მიაძავის გამონათქვამები სწორია. „იაპონია, — ხაზი გაუსვა „ნიპონ კეიძაბ“, — მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებს ყველა ქვეყანასთან. ბუნებრივია, იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეინარჩუნოს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთანაც. ხოლო თუ ჩინეთს არ მოსწონს ასეთი პოზიცია, იაპონია მას ვერ დაეთანხმება“.

ასეთმა გამოსმაურებამ საბოლოოდ დაეკარგვინა ჩინეთის წინასწორობა. ამუშავდა სინხუას, „ენენინ ქიბაოს“ და პეკინის რადიოს პროპაგანდისტული მანქანა. ისინი ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდნენ იაპონიის მთავრობისაგან მაოისტებისათვის სასურველი პოზიციის დაკავებას სსრ კავშირის მიმართ.

მაგრამ პეკინის ზემოქმედებამ ამჯერადაც ვერ გასტრა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოწვეულმა იაპონიის პეკინელმა ელჩმა ჰ. ოგავამ, რომელსაც მიუხდა დამამცირებელი გამოთქმებით ალსავსე ჩინეთის დემარშის მიღმენა, აღსანიშნავად გაიმეორა თავისი მინისტრის ნათქვამი. ცხადია, იაპონიაში მატულობს საფრთხილე პეკინის მიმართ და უკმაყოფილება მაოისტთა ამ საშიში პოლიტიკის გამო, რომელიც ამწვავებს დაძაბულობას შორეულ აღმოსავლეთში და ხელს უშლის ვითარების ნორმალიზაციას მსოფლიოს ამ რაიონში. (საკ.ფილი).

ამხილეს ძირგამომთხრელი აქციები

ჯაკარტა. (საკ.ფილი). ინდონეზიის დედაქალაქის ცენტრალურმა სასამართლომ ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა ვინმე ხო ძე-სენს ქვეყანაში არალეგალურად ჩასვლისათვის. როგორც გამოძიების მსვლელობაში გამოირკვა, განსასჯელმა ჯერ კიდევ 60-იანი წლების დამდეგს თაღლითური ოინების გზით შეძლო ინდონეზიიდან ვითომდა სასწავლებლად წასულიყო ჰონკონგში. სინამდვილეში რამდენიმე წლის მანძილზე სპეციალურ მომზადებას გადიოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ამის შემდეგ ხო ძე-სენმა ყალბი დოკუმენტებით არალეგალურად შეაღწია ინდონეზიაში. სასამართლოს კერძო განჩინებაში აღნიშნულია, რომ იგი „ეწეოდა საქმიანობას, რომლის მიზანი იყო ინდონეზიის მთავრობის დასკვრედიტაცია“.

„ხო ძე-სენის საქმე“ ერთ-ერთია მრავალთაგან, რომლებსაც არჩევენ ინდონეზიის სასამართლოები. მარტო უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ინდონეზიის ტერიტორიაზე არალეგალურად შეაღწია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 9 ათასმა მოქალაქემ. როგორც გაზეთები აღნიშნავენ, უმრავლესობა ამათგან, ვინც ფაოლად შეიპარა ჩინეთიდან ინდონეზიაში, მიდიოდა ინგლისის კოლონიის — ჰონკონგის გავლით, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს და, რომელსაც მაოისტები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ინდოსადმი ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის იყენებენ.

ინდონეზიაში ჩინური ეროვნების პირთა შეგზავნა, რომელთა შორის, როგორც ბელისუფლებანი აღნიშნავენ, ბევრი პეკინის უშუალო აგენტია, ინდონეზიის მთავრობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. პრესაში არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ინდონეზიამ მაოისტური აგენტურის შეღწევა — პეკინის ამ ცდებთან ერთად, რომ თავისი მიზნებისათვის ა. მოიყენოს ამ ქვეყანაში მცხოვრები ჩინელები — ჩინეთის ძირგამომთხრელი აქციების ობიექტად აქცევს მას.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐ

მონრეალის XXI ოლიმპიადაზე

ფინიშის წინ

● ძიუდოისტ ვლადიმერ ნევზოროვის ოქროს მედალი ● ტატიანა ანისიმოვას „ვერცხლის ფინიში“ თარჯრბენში ● ბრინჯაოს ჯილდოები — საბჭოთა ფეხბურთელებს.



ჰიდაობა ძიუ-დო. მონრეალის ოლიმპიური პარკის ველოდრომის საჭიდაო დარბაზში საბჭოთა ძიუდოისტებმა კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვეს. მისი მფლობელი გახდა ქვეყანაშუალო წონითი კატეგორიის მოჯიდავე (70 კგ), მსოფლიოს, მსოფლიოს, სსრ კავშირისა და ხალხთა მე-6 სპარტაკიადის ჩემპიონი, 25 წლის მაიკოფელი სტუდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ ნევზოროვი (მწვრთნელი ი. კობლევი). ჩვენმა ფალავანმა ფინალში დაამარცხა იაპონელი კოძი ტურამოტო, რომელიც მეორე ადგილზე გამოვიდა.

ძიუდოისტთა ასპარეზობაში გასათამაშებელი დარჩა მედლების მხოლოდ ორი კომპლექტი — მსუბუქწონაში (63 კგ), რომელშიც საბჭოთა სპორტის ღირსებას დაიცავს ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი, ქართველი მოჭიდავე ოლეგ ზურაბიანი და ე. წ. ღია პირველობა (აბსოლუტური კატეგორია), რომელშიც გამოვა მიუნხენის ოლიმპიადის პირველი საბჭოთა ჩემპიონი ძიუ-დოში, გორელი ფალავანი შოთა ჩოჩიშვილი.

მძლეოსნობა. მხოლოდ ერთი მეალედი დაგვლდა საბჭოთა მძლეოსანს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ლენინგრადელ პედაგოგს ტატიანა ანისიმოვას 100 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებულს — იოჰანა შალერის (გდრ) შედეგამდე — 12,77. ტ. ანისიმოვამ სსრ კავშირის ახალი რეკორდი დამყარა — 12,78. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მოსკოველმა ნატალია ლებედევამ — 12,80.

წინა ოლიმპიადის ჩემპიონმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, 31 წლის მოსკოველმა ფაინა მელნიკმა მთელი ორი მეტრით (68,60) გადაამეტა თავისსავე შედეგს, რომელშიც მას მიუნხენში ოქროს მედალი მოუტანა, მაგრამ გამარჯვებისათვის საკმარისი ესეც არ გამოდგა, ვინაიდან ეფელინ შლაკმა (გდრ) ბაღრო კიდევ უფრო შორს — ზუსტად 69 მეტრზე გაზავნა და ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. უფრო მეტიც, მსაჯებმა ჩათვალეს, რომ საბჭოთა მძლეოსანმა ტყორცნის დროს წესები დაარღვია და ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ფ. მელნიკი მეორე ადგილიდან მეოთხეზე „გადააყენეს“ (68,40), ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვეს ბულგარელი მარია ვერგოვა (67,30) და გბრიელ ჰეინცმანი (გდრ) — 66,94. ცნობილი რუმინელი ბაღროს მტყორცნელი არჯენტინა მენინი მეექვსე ადგილზე გამოვიდა (65,38), ლენინგრადელი ნატალია გორბაჩოვა,— მერვეზე (63,40), მოსკოველი ოლგა ანდრიანოვა — მეათეზე (60,80).

100 და 200-მეტრიან დისტანციებზე ცნობილმა მორბენალმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა ირენა შევინსკამ (პოლონეთი) მონრეალის ოლიმპიადისათვის მზადების პერიოდში 400 მეტრიც „აითვისა“ და მსოფლიოს ახალი რეკორდიც დაამყარა — 49,9. ეს დისტანცია ოთხი ოლიმპიადის მონაწილემ ი. შევინსკამ შესანიშნავად გაირბინა მონრეალის მთავარ ოლიმპიურ სტადიონზეც და ჩემპიონის ოქროს მედალთან (ეს მისი მესამე ოლიმპიური „ოქროა“, სულ კი ამ ასპარეზობებში 7 მედალი აქვს) ერთად ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 49,29. ფინიშზე მეორე იყო კრისტინა ბრეგერი — 50,51, მესამე — ელინ შტრაიდტი — 50,55 (ორივე — გდრ).

ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის გაიმარჯვა კუბელმა ალბერტო ხუანტორენამ (44,26), რომელმაც მონრეალში ჩემპიონობა მოიპოვა 800-მეტრიან დისტანციაზეც. მეორე და მესამე შედეგები აქვთ ამერიკელ მორბენლებს ფრედ ნიუკაუზს (44,40) და ხერმან ფრუზერს (44,95).

სიგრძეზე ხტომაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა 28 წლის ამერიკელმა სტუდენტმა არნი რობინსონმა — 8,35 მეტრი. მეორე ადგილზეა მისი თანამემამულე რენტი ულიბასი — 8,11. ევროპის ჩემპიონი, დონეცკელი ვალერი პოდლუჟნი მესამედ იყო — 7,88, მოსკოველი ალექსი პეტროვერნეკი — მეათე (7,66).

საბჭოთა ათეტიდელი, მიუნხენის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ნიკოლოზ აკიელოვი („დინამო“, ოდესა) ხუთი სახეობის შემდეგ ჯერჯერობით მეორე ადგილზეა — 4,315 ქულა. პირველ ადგილზე მყოფი გიდო კრატჩენი (გდრ) ჩვენს ჩემპიონს 18 ქულას უგებს — 4.333. მესამე შედეგი აქვს ბრიუს ჯენერს (აშშ) — 4,298 ქულა.

ფრენბურთი. საბჭოთა ქალთა და ვაჟთა გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით 3:0 მოუგეს უნგრეთისა და კუბის გუნდებს და ახლა ფინალში შეხვდებიან შესაბამისად იაპონელ და პოლონელ ფრენბურთელებს.

მშვილდოსნობა. ყოლიეტის სასროლეთში ერთმა შტატმ ნაპირი გადმოლახა. მოვარდნილმა ფაილერ ბეიმ ოქროს მედალი მოუტანა, მაგრამ გამარჯვებისათვის საკმარისი ესეც არ გამოდგა, ვინაიდან ეფელინ შლაკმა (გდრ) ბაღრო კიდევ უფრო შორს — ზუსტად 69 მეტრზე გაზავნა და ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. უფრო მეტიც, მსაჯებმა ჩათვალეს, რომ საბჭოთა მძლეოსანმა ტყორცნის დროს წესები დაარღვია და ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ფ. მელნიკი მეორე ადგილიდან მეოთხეზე „გადაყენეს“ (68,40), ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვეს ბულგარელი მარია ვერგოვა (67,30) და გბრიელ ჰეინცმანი (გდრ) — 66,94. ცნობილი რუმინელი ბაღროს მტყორცნელი არჯენტინა მენინი მეექვსე ადგილზე გამოვიდა (65,38), ლენინგრადელი ნატალია გორბაჩოვა,— მერვეზე (63,4E